



]

საქართველო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 2045
15/06/2016

2045-01-4-201606151825



ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M₂ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ნებართვების გაცემის კონკურსის ორგანიზების შესახებ

ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M₂ კატეგორიის №31 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტს გაუვიდა ნებართვის მოქმედების ვადა, რის გამოც აუცილებელი გახდა აღნიშნულ მარშრუტზე ჩატარდეს ნებართვების გაცემის კონკურსი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 262-ე მუხლის პირველი პუნქტის, ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M₁, M₂ და M₃ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ “ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 14 მარტის №100, „თვითმმართველი ქალაქის-ქუთაისის საკრებულოს 2008 წლის 27 თებერლის №145 დადგენილების ძალადაკარულად გამოცხადებისა და ქალაქ ქუთაისში მოქმედი სამგზავრო-სატრანსპორტო სქემების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის №216 დადგენილებებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1.გამოცხადდეს კონკურსი ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მისაღებად, M₂ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების №31 მარშრუტზე /დანართი საკონკურსო პირობების შესახებ თან ერთვის/.

2. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

შოთა მურდულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი